პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნიზმის სხივი

1990
23 იანვარი
შაბათი
№10 (6237)
ფასი 3 კაპ.

გაზეთი დაარსდა 1933 წლის 10 მაისს

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

КОМУНИЗМИС СХИВИ орган Цагерского райкома КП Грузии и райсовета народных депутатов

## სიმშვიდისა და მტკიცე წესრიგის შენარჩუნებისათვის

როგორც ვიუწყებოდით, 19 იანვარს შიდა ქართლში და ახალციხის რაიონში იყვნენ ამხანაგები გ. გუმბარიძე, ნ. ჭითანავა და ტ. ლორთქიფანიძე. მათ მოისმინეს პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის, ხაშურის, ქარელისა და ბორჯომის რაიკომების პირველი მდივნების ა. კავსაძის, რ. მულაძის, ი. ჯიქურაშვილისა და თ. პეტრიაშვილის ინფორმაციები რეგიონში საზოგადოებრივი და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესახებ. აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში შექმნილი დაძაბული მდგომარეობის მიუხედავად აქ არ შენელებულა შრომითი რიტმი, მოსახლეობის მომარაგება სასურსათო პროდუქტებით, ჩვეულებრივად ფუნქციონირებენ სავაჭრო და კომუნალური მომსახურების ობიექტები. მოსახლეობა მხარს უჭერს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის კონკრეტულ ნაბიჯებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ძირეული გარდაქმნისა და ეროვნულ პრობლემების თანმიმდევრული გადაწყვეტისათვის, ამასთან, ერთხმად მოითხოვენ უფრო ენერგიული ზომების მიღებას წესრიგის დასამყარებლად და სამართალდარღვევათა ზრდის აღსაკვეთად, განსაკუთრებით, როცა ისინი ერთა შორის შუღლის გაღვივებასა და შესაბამის პროვოკაციულ მოქმედებას უკავშირდება, მათ შორის შიდა ქართლშიც.

ახალციხეში გ. გუმბარიძემ, ნ. ჭითანავამ და ტ. ლორთქიფანიძემ მონაწილეობა მიიღეს თათბირში, რომელსაც რაიკომის ბიუროს წევრები, რაიკომისა და რაიაღმასკომის პასუხისმგებელი მუშაკები ესწრებოდნენ. ესაუბრნენ აგრეთვე ამ რეგიონში დისლოცირებული სასაზღვრო ჯარებისა და სამხედრო ნაწილების მეთაურებს. საგანგებო ყურადღება მიექცა ამიერკავკასიის მეზობელ რესპუბლიკებში შექმნილი ურთულესი ვითარების დროს სამცხე-ჯავახეთში სიმშვიდისა და მტკიცე წესრიგის, მოსახლეობის მოქალაქეობრივი შეგნებისა და პასუხისმგებლობის გამოვლენის, ყოველგვარი გაუგებრობისა და პროვოკაციის თავიდან აცილების, ხალხთა სისტემატური შეხვედრებისა და მათი ობიექტური ინფორმირების აუცილებლობას.



იანვრის მესამე დეკადაში შევედით. ახალი წლის ამოცანების შესრულებას ახლა ეყრება საფუძველი. ალპანის სამკერვალო წარმოების მკერავი დიანა გურგუჩიანი (სურათზე) ცდილობს მეტი ენერგიით, პასუხისმგებლობით იშრომოს, საკუთარი წვლილი შეიტანოს კოლექტივის მიერ სამრეწველო პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის დავალების რეალიზაციაში.

### თეორიულ-პრაქტიკული კონფერენციის შესახვედრად

## ფიქრები სოფელზე

იყო დრო, როცა სოფელ ლუხვანოში რამდენიმე კოლმეურნეობა ფუნქციონირებდა. ერთი იყო საკომპლიანო, რომელშიც 300-მდე კომლი იყო გაერთიანებული და მოსახლეობის გადასახლების, სოხუმის რაიონის კელასურში ჩასახლების გამო გაუქმდა. მეორე—ზარაგულის კოლმეურნეობა იყო, რომელიც 1949 წელს შეუერთეს ქვედა ლუხვანოს კოლმეურნეობას, მესამე—სალეთოდიანოს კოლმეურნეობა 100-მდე კომლით, რომელიც ასევე გააერთიანეს ლუხვანოს კოლმეურნეობასთან, რამაც უარყოფითი შედეგი გამოიღო, მაგრამ ეს კიდევ არაფერი, სოფელს უარესი რომ არ მოსვლოდა. 1974 წელს ქვედა ლუხვანოს კოლმეურნეობა ცაგერის კოლმეურნეობას შეუერთეს. ამ შეერთებამ, პირდაპირ უნდა ითქვას, დაღუპა სოფელი, კოლმეურნეობაში კატასტროფულად შემცირდა შრომის ანაზღაურება, გაიზარდა კოლმეურნეობის აპარატის თანამშრომელთა რიცხვი, რომელიც მიწის მუშის თოხის ტარს აწვა სარჩენად. ასეა დღესაც. ყოველივე ამან გააქტიურა მიგრაცია სოფლად, ე. წ. შიდამიგრაცია უფრო გაძლიერდა. სოფლის მცხოვრებთა ერთმა ნაწილმა, იგრძნო რა ეკონომიკური სივიწროვე, ქალაქს მიაშურა. ასე დაიცალა ისეთი სოფლები, როგორიც იყო სალეთოდიანო, ზარაგულა და ქვედა ლუხვანო. ამას დაემატა 1987 წლის სტიქიური უბედურება, რაშიდაც ჩვენც მიგვიძღვის ბრალი ბუნებისადმი ჩვენივე ბარბაროსული მოქმედებით.

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, ბუნებრივია, სოფლის არასრულ საშუალო სკოლაში მოსწავლეთა კონტიგენტი განახევრდა და ამჟამად 35 მოსწავლეა.

დიდი ხანი არ არის, რაც კოლმეურნეობაში საიჯარო შრომა დაინერგა, მაგრამ ჩვენს პირობებში ვერც ამან გაამართლა.

ამ უკიდურესი მდგომარეობიდან გამოსავალს მხოლოდ და მხოლოდ გლეხურ მეურნეობაზე გადასვლაში ვხედავთ. თუკი გლეხი იმ დასკვნამდე მივა, რომ თვითონვეა ბატონ-პატრონი მიწისა, მხოლოდდამხოლოდ მას ეკუთვნის მის მიერ მოწეული პროდუქცია და როგორც უნდა ისე გამოიყენებს, მაშინ, რაღა თქმა უნდა, მიწაც შეუყვარდება, ყოველნაირად ეცდება მოსავლიანობა გაზარდოს, დოვლათი დააგროვოს. მაშინ ბაზარიც გაიაფდება, სოფლიდან გაქცეული მიწას დაუბრუნდება და მიგრაციაც შეჩერდება.

ამას წინათ რაიონული პრესის ფურცლებზე საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის საარჩევნო პროგრამა გამოქვეყნდა, სადაც წავიკითხე, რომ მიზანშეწონილადაა ცნობილი რაიონში დამუშავდეს წვრილგლეხურ მეურნეობაზე გადასვლის პერსპექტივები, რაც ძალზე საჭიროა და დროული.

მივესალმებით რაიონული კომიტეტის მიერ ასეთი საჭირო ღონისძიების გატარებისათვის ზრუნვას, რაც მართლაც დროულად და დაუყოვნებლივ არის გადასაწყვეტი. ასეთია ჩვენი სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობის მოთხოვნა.

**ჰ. კოპალიანი,**
ლუხვანოს არასრული საშუალო სკოლის პენსიონერი მასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სახალხო მეურნეობა: შედეგები და პერსპექტივები

### საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის ბიუროსა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის გაფართოებული სხდომა

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის ბიუროსა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის გაფართოებული სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხი —რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1989 წლის სახელმწიფო გეგმების შესრულებისა და 1990 წლის ამოცანების შესახებ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის მეორე მდივანმა კარლო სევარიონის ძე მუშკუდიანმა.

სხდომაზე გამოვიდნენ სახელმწიფო სატყეო მეურნეობის დირექტორი ვახტანგ დარახველიძე, სასურსათო კომბინატის დირექტორი ჟორა კუხალაშვილი, ალპანის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი გია ხვადაგიანი, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი გიორგი მუშკუდიანი, ჩხუტელის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე თამაზ ქარსელაძე, აგრომრეწვბანკის მმართველი გონდო ჭაბუკიანი, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსი ნუგზარ ზამთარაძე, კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი მიხეილ მუშკუდიანი, ქვედა ცაგერის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გელა ხვადაგიანი, აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის ცაგერის რაიკომის თავმჯდომარე მელსი ყურაშვილი.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველი მდივანი ემზარ კონსტანტინეს ძე გუგავა.

ეკონომიკაში ახალი მეთოდების ძიებით, არსებული რეზერვების სრულყოფილად ამოქმედებით, ერთობლივი საქმიანობით გასულ წელს მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა რაიონის სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებაში.

სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის ტემპმა 175,6 პროცენტი შეადგინა, რეალიზებულ იქნა 2075 ათასი მანეთით მეტი პროდუქცია, ვიდრე წინა წელს, შესრულდა აგრეთვე სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გეგმები.

სხდომაზე დადებით ტენდენციებთან ერთად წინა პლანზე წამოიწია ნაკლოვანებებმა. ის ფაქტი, რომ მრეწველობის მუშაკებმა პროდუქციის გამოშვების 1989 წლის დავალება 77,2 პროცენტით შეასრულეს, მიწოდების ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალება—99,1 პროცენტით, გვაფიქრებინებს, რომ სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელები ანგარიშიანად ვერ უძღვებიან საქმეს. სახელმწიფო სატყეო მეურნეობამ, ადგილმრეწველობის კომბინატმა ვერ უზრუნველყვეს პროდუქციის გამოშვებისა და მიწოდების, შრომის ნაყოფიერების გეგმების შესრულება. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის ერთ-ერთ საშუალებად გამოიკვეთა ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების გამოყენება, რომლის ხვედრითი წილი კომბინატში მხოლოდ 1 პროცენტია, მაშინ, როცა იგი სულ ცოტა 80-90 პროცენტს უნდა აღწევდეს.

მთელი წლის მანძილზე მძიმე საფინანსო სიტუაცია სუფევდა სასურსათო კომბინატში. აქ 800 ათასი მანეთის პროდუქცია დააკლეს დავალების შესრულებას. წელს კომბინატი იგეგმება 1.500 ათასი მანეთის პროდუქციის წარმოებაზე. ამ ამოცანის შესრულებას აქედანვე საფრთხე ემუქრება, თუ ცეკავშირის გამგეობა მეტად არ დაინტერესდა კომბინატის მომავლისადმი. აქ სიტყვა რაიონის ხელმძღვანელობასაც ეკუთვნის, რათა მივაღწიოთ შეთანხმებას კომბინატის გაფართოებისა და მისი გადაიარაღების საქმეში. თავის მხრივ კომბინატის დირექციას მეტი პასუხისმგებლობა და პრინციპულობა მართებს.

დათმეს პოზიციები ცაგერის ღვინის ქარხნისა და რაიონული სტამბის კოლექტივებმა. ღვინის ქარხანამ შეძლო მიწოდების ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალების შესრულება, დანარჩენ 3 სახეში კი ვერ გაანაღდა დავალებები. წელს ქარხანა

(დასასრული მე-2 გვერდზე).

# სახალხო მეურნეობა: შედეგები და პერსპექტივები

(დასასრული).

იჯარული წესით იმუშავებს. საქმიანობის მომავალი უშუალოდაა დაკავშირებული სამეურნეო ხელმძღვანელთა მოქნილ მუშაობაზე.

შეეხენ რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის ფუნქციონირებას, რომელიც 1988 წლიდან დამოუკიდებელია. აქ 25 ათასი მანეთის ზარალით დაამთავრეს გასული წელი. ახალმა ხელმძღვანელობამ მონდომებით უნდა მოკიდოს საქმეს ხელი, რამეთუ ქარხნის გამართულ მუშაობაზე დიდადაა დამოკიდებული რაიონში კაპიტალური მშენებლობის განვითარების პერსპექტივები.

გამოიკვეთა მრეწველობის მუშაკთა ახალი ამოცანები: მიმდინარე წელს დაგეგმილია 5.880 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქციის გამოშვება, რაც გაცილებით სერიოზული დავალებაა წინა წელთან შედარებით. სამრეწველო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა ყველა რეზერვის ამოქმედებით, ახლებური აზროვნებით აქედანვე უნდა ჩაუყარონ საფუძველი წლის საუკეთესო შედეგებით დასრულებას.

სხდომაზე საფუძვლიანად გააანალიზეს რაიონის ეკონომიკის წამყვან დარგში—სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობა. ის უმნიშვნელო წარმატებები, რომლებიც იქნა მოპოვებული, უპირატესად განაპირობა მეურნეობრიობის ახალი ფორმების დანერგვამ, იჯარულმა შრომამ, მაგრამ ცალკეული დარგების პერსპექტივების სიღრმისეული ჩაწვდომით ირკვევა, რომ რაიონში ჯერ კიდევ სრულად არაა გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის სტრუქტურა, არ გარდაქმნილა მმართველობის აპარატის მუშაობის სტილი. ხაზი გაესვა ნაკლოვანებებს ხორცის წარმოების, ნამატის მიღების, სულადობის, წონამატის, საკვების დამზადების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების საქმეში.

საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა თითქმის თვითდინებაზე მიუშვეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის ბერკეტები. ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ლაპარაკია წვრილგლეხურ მეურნეობაზე გადასვლაზე. აქედან გამომდინარე დგება საკითხი კოლმეურნეობის, როგორც მართვის რგოლის გაუქმების შესახებ, რომელიც პრაქტიკულად ჭერჭერობით გადაუწყვეტელია. ამიტომ, ითქვა, რომ მთელი პასუხისმგებლობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე ეკისრებათ კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს. დაშვებულ უგულისყურობას მკაცრი შეფასება მიეცემა კოლმეურნეობათა მომავალ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე.

შარშან საზოგადოებრივმა მეურნეობებმა 1700 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს 494 ტონა ყურძენი დაუმზადეს, ხორცი—7262,7 ცენტნერი 8406-ის ნაცვლად, ხილი—426 ტონა 900-ის ნაცვლად, მარცვლეული—12,5 ტონა 50-ის ნაცვლად. კიდევ უფრო ცუდი შედეგები აქვთ ცალკეულ მეურნეობებს.

წარმოჩნდა ჩამორჩენის მიზეზები: ხორცისა და რძის სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში არსებული ნაკლოვანებები ძირითადად განპირობებულია იმით, რომ ხორცის წარმოება დამზადებით მკვეთრად უსწრებს წარმოებას გამოზრდით. ასე, მაგალითად, რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიყიდეს 648 ტონა ხორცი, მაშინ, როცა აწარმოეს 233 ტონა (?!)

წარმოების ზრდა შეუძლებელია ნამატის გარეშე. შარშან ყოველი 100 ფურიდან საშუალოდ მიღებულია 75 სული ხბო, გეგმურზე 5 სულით ნაკლები. კიდევ უფრო დაბალი მაჩვენებლები აქვთ ჩხუტელის, ორბელის, ალპანის, ტვიშის, ლაილაშის, წიფერჩის კოლმეურნეობებს.

უფრო გაბედულად უნდა დაინერგოს, ითქვა სხდომაზე, მეცხოველეობაში საიჯარო შრომა, მხოლოდ იმ გარანტიით, რომ მეტი დახმარება და კონტროლი განხორციელდეს მასზე.

პროდუქტიულობის დაბალი დონე განაპირობა იმან, რომ პირუტყვის სულადობის შევსებისათვის ზრუნვა არ იგრძნობა. რაიონში მსხვილფეხა პირუტყვს გეგმურზე 536 სულით ნაკლებს ითვლიან, ძროხას—120 სულით, ღორს—1731 სულით ნაკლებს, არ შესრულდა წველადობის დავალება, აქედან გამომდინარე—რძის წარმოების დავალებაც.

სხდომაზე დამაკმაყოფილებლად შეფასდა რაიონში საგზაო სამშენებლო-სარემონტო სამუშაოთა ტემპი. გასულ წელს ათვისებულ იქნა ამისათვის განკუთვნილი თანხა. დაგეგმილია წყალტუბო-ცაგერის გზის რეკონსტრუქცია, დამთავრდება ალვის ხიდის მშენებლობა, კვერეშულაზუბის, ლაძგვერია-ოყურეშის და სხვა გზების მშენებლობა. სულ გზების მშენებლობის და შეკეთებისათვის გამოყოფილია 2065 ათასი მანეთი.

თუ გადავხედავთ რაიონში კაპიტალურ მშენებლობაში არსებულ მდგომარეობას, აქ ბევრი ხარვეზი და წუნია. ეს ძირითადად შეეხება საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო საბჭოსა და სარემონტო-სამშენებლო უბნის მუშაობას, რომლებმაც უნდა აღმოფხვრან ნაკლოვანებები, ობიექტური თუ სუბიექტური სიძნელეები, დიდია დაუმთავრებელი მშენებლობის ხვედრითი წილი, გაჭიანურებული მშენებლობები. მოყვანილ იქნა კონკრეტული მაგალითები.

შარშან სერიოზული მუშაობა წარიმართა მშრომელთა მომსახურების გასაუმჯობესებლად, მიღებულ იქნა არაერთი დადგენილება ამ თვალსაზრისით. გაიზარდა ერთ სულ მოსახლეზე სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე, მაგრამ აქცენტი გადატანილ იქნა ნაკლოვანებებზე, ჯერ კიდევ მოუგვარებელ პრობლემებზე. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო თავს იმით იმშვიდებს, რომ მის საგეგმო დავალებათა შესრულებაში 69,3 პროცენტით ფიგურირებს კოოპერატივების მომსახურება. ცუდია სავაჭრო მომსახურების ქსელის მატერიალურ ტექნიკური ბაზა, ადგილი აქვს ნეგატიურ მოვლენებს. შარშან ვაჭრობის სისტემაში გაფლანგვამ 7 ათას მანეთს მიაღწია, დაიწვა დეხვირისა და ცხუკუშერის სასოფლო მაღაზიები.

ავტოსატრანსპორტო საწარმომ ვერ შეასრულა ტვირთზიდვისა და საავტომობილო მომსახურების გეგმები, მრავალი პრობლემა აქვს გადასაწყვეტი კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელობას. მათ ახალი წლის პირველი დღეებიდანვე უნდა მიუგდონ ყური მშრომელთა სამართლიან პრეტენზიებს, გარდაქმნან მუშაობა მოთხოვნათა შესაბამისად.

ითქვა აგრეთვე მოსახლეობის ფასიანი მომსახურების განვითარების პრობლემაზე. გასულ წელს დაგეგმილი 25 ორგანიზაციიდან 1251 ათასი მანეთის ნაცვლად გაწეულ იქნა 1519 ათასი მანეთის მომსახურება, თუმცა საერთო გეგმის შესრულების ამ მაჩვენებლის უკან დგას ცალკეული ორგანიზაციები, სადაც უგულებელყოფილია მშრომელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება.

სხდომაზე ხაზი გაესვა საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობებისა და ფულის მიმოქცევის საქმეში არსებულ [illegible]. 1 იანვრისთვის რაიონის [illegible] გეგმის შესრულებას დააკლდა 243 ათასი მანეთი.

საქმიანი საუბარი გაიმართა რაიონის განათლების, კულტურის, მედიცინის, ფიზკულტურულ-სპორტული დაწესებულებების მუშაობის თაობაზე. ბოლო წლებში სასკოლო და სკოლამდელი დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის დაიხარჯა 1700 ათასი მანეთი, გარკვეული ყურადღება დაეთმო საკადრო პოლიტიკის განხორციელებას. მიუხედავად ამისა, კვლავ პრობლემად რჩება საკადრო პოლიტიკის საკითხი, ნელა ინერგება კომპიუტერული სწავლება, სუსტია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

შემდეგ ილაპარაკეს კულტურის განყოფილებისა და კინოფიკაციის საშუალებების ეფექტიანობის გაზრდის საკითხებზე, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ავ-კარგზე, მშრომელთა სოციალურ სფეროში დაგროვილ პრობლემათა გადაჭრის ოპტიმალურ გზებზე, სამართალდამცავი ორგანოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

ახლა, როცა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება ძალზე არაორდინარულ, განსაკუთრებულ ვითარებაში მიმდინარეობს, წინა პლანზე იწევს ადგილობრივი ორგანოების როლისა და ავტორიტეტის ზრდა, მათი გამიზნული მუშაობა.

* * *

სხდომის მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ რაიონის მშრომელები მიუხედავად რთული პოლიტიკური სიტუაციისა გამოიჩენენ მაღალ შეგნებას, ორგანიზებულობას, ყველაფერს გააკეთებენ რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1990 წლის დავალების შესასრულებლად.

## ვეტერინარის რჩევები

# კანქვეშა ბორა სერიოზული დაავადებაა

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის კანის ბორა ქრონიკულად მიმდინარე დაავადებაა. იგი ხასიათდება ანთებითი მოვლენებით იმ ადგილებში, სადაცაა მოთავსებული და იწვევს ორგანიზმის საერთო ინტოქსიკაციას (მოწამვლას), აქვეითებს პირუტყვის პროდუქტიულობას. დაავადების გავრცელებას აქვს კეროვანი ხასიათი. ავადდებიან ასევე ცხენი, თხა, ცხვარი, მაგრამ ეპიზოოტიური მნიშვნელობა მათში არ აქვს, რადგან კანის ბორას ჭუპრები ვერ აღწევენ სრულ სიმწიფეს.

კანქვეშა ბორას გამომწვევი მწერი სიგრძით აღწევს 2 სანტიმეტრამდე, დაფარულია სქელი, ყვითელი, ნარინჯისფერი და შავი ბუსუსებით, მრავლდება კვერცხით. ჭუპრი პირველ სტადიაში არის თეთრი ფერის, შემდეგ გადადის მეორე სტადიაში და უვითარდება პირის აპარატი, რომლის შემდეგაც გაივლის მესამე სტადიას და მუქდება.

კანის ბორას სრული განვითარების ციკლს სჭირდება 1 წლამდე პერიოდი. ამ პერიოდში პირის აპარატით კვება არ ხდება, ის იკვებება ჭუპრობის პერიოდში მიღებული საკვები ნივთიერებებით.

ჭუპრიდან გამოფრენილი მწერი ცოცხლობს 1 თვემდე, ფრენს როგორც მზიან, ისე ღრუბლიან ამინდში. დაბადებული მწერები სქესმწიფეები არიან, მდედრი განაყოფიერების შემდეგ იწყებს კვერცხის დებას—800 ცალის ოდენობით. ამისათვის არჩევს ცხოველის თმიან ადგილებს თეძოს მიდამოებში და მუცლის კანის ნაზ ადგილებში. ჭუპრის ფორმირება კვერცხში ხდება 1 კვირამდე, კვერცხიდან გამოსვლისთანავე მიყვებიან თმის ძირს და იჭრებიან კანქვეშ. ჭუპრი შემდეგ გადაადგილდება მსხვილი სისხლძარღვების და ნერვების გასწვრივ ხერხემლისაკენ, კერძოდ, ხერხემალ-მალთა ცხიმოვან ქსოვილებში, გადააადგილდება ზურგის ტვინის არხის გავლით საყლაპავი მილის ლორწოვანი გარსის ქვეშ. შემდეგ ჭუპრები გადაინაცვლებენ ზურგისა და წელის კანქვეშ.

კანქვეშ მოთავსებული ჭუპრები განვითარების სხვადასხვა სტადიაში სპირალური მოძრაობით ხვრეტენ კანს და ცვივიან მიწაზე.

დაინვაზირების ძირითად წყაროდ ითვლება კანის ბორათი დაინვაზირებული ცხოველები. ავადმყოფი ცხოველი, რომლის კანიდან შეიძლება გამოცვივდეს 10-15 ჭუპრი, საკმარისია აღმოჩნდეს მთლიანი ჯოგის 50 პროცენტის დაავადების მიზეზი. ზრდასრულ მწერს შეუძლია რამდენიმე ათეულ კილომეტრზე ფრენა და ცხოველის მოძებნა, ამისათვის საჭიროა განსაკუთრებული პროფილაქტიკური ზომების მიღება, განსაკუთრებით დაინვაზირებულ ადგილებში.

ორგანიზმში არსებული ჭუპრები იწვევენ ცხოველის მოუსვენრობას, აზიანებენ ქსოვილებს, დაზიანებული ადგილებიდან იწვევენ სისხლძარღვების ექსუდატის ღვრას, აზიანებენ სისხლის უჯრედებს, იწვევენ ანთებით პროცესებს, აფერხებენ საყლაპავი მილის გამტარუნარიანობას.

ეპიდემიურ ცხიმში მოხვედრილ კანის ბორას ჭუპრებს შეუძლია უკანა კიდურების პარალიზება. იწვევენ შემაერთებელი ქსოვილების ქრონიკულ ანთებას, ძლიერი დაინვაზირების დროს იცვლება სისხლის სურათი, იწოვენ გარკვეული რაოდენობის ნივთიერებებს ქსოვილებიდან, გამოყოფენ ფერმენტებს და მაღალ ტოქსიკურ ნივთიერებებს, რაც ზიანს აყენებს ცხოველის ორგანიზმს.

ავადმყოფობის ნიშნებს ცხოველი ამჟღავნებს შემოდგომის პერიოდში, როცა კანქვეშიდან ცვივა ჭუპრები და მისგან გამოსული მწერი იწყებს ფრენას. ზამთარში დაავადების ნიშნები არ შეიმჩნევა, გაზაფხულზე ზურგზე ჩნდება მცირე ზომის შემსივნებები, რომელშიც მოთავსებულია ჭუპრები, რომლებიც შემდგომ ხვრეტს კანს, იწყებს სუნთქვას და გახვრეტილი კანიდან იწყება სერიოზული ლორწოს დენა.

დიაგნოზი ისმება ცხოველის დათვალიერებით და პალპაციით. პროფილაქტიკური მიზნით დაინვაზირებულ ადგილებში არ შეიძლება ცხოველების ძოვება. სამკურნალო - პროფილაქტიკური დამუშავების გარეშე ძირითადი ბრძოლის მეთოდია კანქვეშა ბორას პირველი სტადიის ჭუპრების მოსპობა. ამ მიზნით ცხოველებს ამუშავებენ ზაფხულის პერიოდში ფოსფორო-ორგანული ინსექტიციდებით, ცხოველის წონის მიხედვით. უნდა დამუშავდეს ცხოველთა მთლიანი სულადობა დაინვაზირებულ ადგილებში. ასევე ცხოველების დამუშავება ხდება პროფილაქტიკის მიზნით შემოდგომაზე ჭუპრის ზრდასრულ და კანის ბორას ბუზის ფრენის პერიოდში. ძირითადად იხმარება შემოდგომის პერიოდში ჰიპოდერმიული ქლოროფოსი, დიოქსაფოსი, ქლოროფოსის 4-პროცენტიანი წყალხსნარი და სხვა.

ცხოველების დამუშავება ზემოთაღნიშნული პრეპარატებით უნდა მოხდეს კარგად განიავებულ შენობაში, უმჯობესია ეზოში. ცხოველების ხორცის გამოყენება შეიძლება დამუშავებიდან 15 დღის შემდეგ, რძისა კი 2 დღის შემდეგ, ყოველივე ეს უნდა ჩატარდეს ვეტსპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ.

ზემოთჩამოთვლილი სამკურნალო პროფილაქტიკური ღონისძიებების დროულად და ხარისხიანად ჩატარებით თავიდან ავიცილებთ დაავადებას და მისგან გამოწვეულ ზარალს.

**ა. კანაჩაძე,**

**ცაგერის ცხოველთა დაავადებებთან მებრძოლი სადგურის ეპიზოოტოლოგი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომის

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო უბნების შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონის მე-17 და მე-18 მუხლების საფუძველზე, სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომმა გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

შეიქმნას ცაგერის რაიონში საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შემდეგი საარჩევნო უბნები:

**ორხვის საარჩევნო უბანი №1**

ცენტრი—ორხვის სასოფლო კლუბი. დასახლებული პუნქტი—სოფელი ორხვი.

**ტვიშის საარჩევნო უბანი №2**

ცენტრი—ტვიშის სასოფლო საბჭოს შენობა. დასახლებული პუნქტები—სოფლები ტვიში, ლახეფა ქორენიში.

**ალპანის საარჩევნო უბანი №3**

ცენტრი—ალპანის კულტურის სახლი. დასახლებული პუნქტები—სოფლები ალპანა, აჭარა.

**ზოგიშის საარჩევნო უბანი №4**

ცენტრი—ზოგიშის არასრული საშუალო სკოლის შენობა. დასახლებული პუნქტები—სოფლები ზოგიში, ცაგერა.

**საირმის საარჩევნო უბანი №5**

ცენტრი—საირმის სასოფლო კლუბი. დასახლებული პუნქტები—სოფლები ზედა და ქვედა საირმე.

**სურმუშის საარჩევნო უბანი №6**

ცენტრი—სოფელ სურმუშის ბიბლიოთეკის შენობა. დასახლებული პუნქტები—სოფლები ქვედა და ზედა სურმუში.

**თაბორის საარჩევნო უბანი №7**

ცენტრი—თაბორის არასრული საშუალო სკოლის შენობა. დასახლებული პუნქტი—სოფელი თაბორი.

**ლაილაშის საარჩევნო უბანი №8**

ცენტრი—ლაილაშის კოლმეურნეობის კანტორა. დასახლებული პუნქტები—სოფლები ლაილაში, ლუ.

**ლაჯანის საარჩევნო უბანი №9**

ცენტრი—ლაჯანის კულტურის სახლი. დასახლებული პუნქტები—სოფლები გაგულეჩი, ზედა და ქვედა ლაჯანა.

**ლაცორიის საარჩევნო უბანი №10**

ცენტრი—სპათაგორის სასოფლო კლუბი. დასახლებული პუნქტები—სოფლები ლაცორია, სპათაგორი, ლეშკედა.

**უსახელოს საარჩევნო უბანი №11**

ცენტრი—უსახელოს საექიმო ამბულატორიის შენობა. დასახლებული პუნქტები—სოფლები უსახელო, ხოჯი.

**ორბელის საარჩევნო უბანი №12**

ცენტრი—ორბელის კოლმეურნეობის კანტორა. დასახლებული პუნქტები—სოფლები ზედა და ქვედა ორბელი, კურცობი.

**წილამიერის საარჩევნო უბანი №13**

ცენტრი—წილამიერის სასოფლო კლუბის შენობა. დასახლებული პუნქტი—სოფელი წილამიერი.

**ღვირიშის საარჩევნო უბანი №14**

ცენტრი — ღვირიშის კლუბ-კანტორის შენობა. დასახლებული პუნქტები—სოფლები ზედა და ქვედა ღვირიში.

**უცხერის საარჩევნო უბანი №15**

ცენტრი—უცხერის სასოფლო კლუბის შენობა. დასახლებული პუნქტი—სოფელი უცხერი.

**ნასპერის საარჩევნო უბანი №16**

ცენტრი—ნასპერის სასოფლო კლუბის შენობა. დასახლებული პუნქტები—სოფლები ნასპერი, სანორჩი.

**ნაკურალეშის საარჩევნო უბანი №17**

ცენტრი —ნაკურალეშის სასოფლო საბჭოს შენობა. დასახლებული პუნქტები—სოფლები ნაკურალეში, ცხუკუშერი.

**ალვის საარჩევნო უბანი №18**

ცენტრი—ალვის სასოფლო საბჭოს შენობა. დასახლებული პუნქტები—სოფლები ქვედა, შუა და ზედა ალვი, კენაში.

**ლასურიაშის საარჩევნო უბანი №19**

ცენტრი— ლასურიაშის კულტურის სახლი. დასახლებული პუნქტები—სოფლები ლასურიაში, მახაში.

**დეხვირის საარჩევნო უბანი №20**

ცენტრი—დეხვირის არასრული საშუალო სკოლის შენობა. დასახლებული პუნქტები—სოფლები დეხვირი, ლესინდი.

**ჩხუტელის საარჩევნო უბანი №21**

ცენტრი—ჩხუტელის კოლმეურნეობის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა. დასახლებული პუნქტები—სოფლები ჩხუტელი, ლასხანა.

**ცაგერის საარჩევნო უბანი №22**

ცენტრი—ცაგერის სარაიონო კულტურის სახლი. დასახლებული პუნქტი—ქალაქი ცაგერი.

**ქვედა ცაგერის საარჩევნო უბანი №23**

ცენტრი—ცაგერის კოლმეურნეობის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა. დასახლებული პუნქტები—სოფლები ქვედა ცაგერი, ჭალისთავი, გვესო.

**ლუხვანოს საარჩევნო უბანი №24**

ცენტრი—ლუხვანოს სასოფლო კლუბის შენობა. დასახლებული პუნქტები—სოფლები ქვედა და ზედა ლუხვანო, ზარაგულა.

**წიფერჩის საარჩევნო უბანი №25**

ცენტრი—წიფერჩის კოლმეურნეობის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა. დასახლებული პუნქტები—სოფლები წიფერჩი, ბარდნალა, ლარჩვალი.

**ჩქუმის საარჩევნო უბანი №26**

ცენტრი—ჩქუმის სასოფლო კლუბის შენობა. დასახლებული პუნქტები—სოფლები ჩქუმი, ქულბაქი.

**ზუბის საარჩევნო უბანი №27**

ცენტრი—ზუბის სასოფლო კლუბის შენობა. დასახლებული პუნქტი—სოფელი ზუბი.

**ისუნდრის საარჩევნო უბანი №28**

ცენტრი—ისუნდრის სასოფლო კლუბის შენობა, დასახლებული პუნქტები—სოფლები ისუნდერი, მახურა.

**ოყურეშის საარჩევნო უბანი №29**

ცენტრი—ოყურეშის სასოფლო საბჭოს შენობა, დასახლებული პუნქტები—სოფლები ოყურეში, ოფიტარა.

სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომის
თავმჯდომარე **დ. ი. სვანიძე.**

სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომის
მდივანი **ნ. ჯ. ტვილდიანი.**

ქ. ცაგერი, 18 იანვარი, 1990 წელი.



უზბეკეთის სსრ. ტაშკენტის ოლქში შეიქმნა საკოლმეურნეო კორპორაცია, რომელიც მოიჯარეთა 20 კოოპერატივს აერთიანებს. ხელშეკრულების მიხედვით ყველა კოოპერატივი მოგების გარკვეულ ნაწილს რიცხავს საკოლმეურნეო სალაროში.

სურათზე: ერთი წლის მანძილზე 16 ახეთი ორბინიანი სახლი შეივსო მობინადრეებით.

# მიმდინარეობს ავტოტრანსპორტის ტექნიკური დათვალიერება

**დაიწყო** და 31 ივლისამდე გასტანს ყველა სახის სახელმწიფო და ინდივიდუალურ საკუთრებაში მქონე ავტომოტოტრანსპორტის, მისაბმელებისა და ნახევრად მისაბმელების ტექნიკური დათვალიერება.

საკუთარი ავტომანქანების მფლობელნი ვალდებული არიან დროულად წარმოადგინონ მანქანები ავტოინსპექციაში .

სახელმწიფო ავტომანქანების მფლობელებმა კი უნდა შეადგინონ ტექნიკური დათვალიერების გრაფიკი სახელმწიფო ავტოინსპექციასა და სამხედრო კომისარიატთან შეთანხმებით, სადაც ნაჩვენები იქნება ჩატარების დრო, ადგილი და ტექნიკურ დათვალიერებაზე გასატარებელი ტრანსპორტის რაოდენობა. აღნიშნული გრაფიკის ასლი დამოწმებული წარმოების ხელმძღვანელის მიერ უნდა გამოგვიგზავნონ ჩვენ, ავტოინსპექციაში.

ორგანიზაციის ადმინისტრაციას ეკრძალება შეცვალოს ტრანსპორტის ტექნიკური დათვალიერების დრო სახელმწიფო ავტოინსპექციასა და სამხედრო კომისარიატთან შეთანხმების გარეშე.

ახლა საჭიროა დაუყოვნებლივ შეიქმნას ადგილებზე კომისიები (ადმინისტრაციის წარმომადგენელი, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, კომისიის თავმჯდომარედ ირჩევა წარმოების ხელმძღვანელი), რომელთაც ადგილზე უნდა დაათვალიერონ ტრანსპორტი.

დათვალიერების ჩატარების შემდეგ ავტოტრანსპორტის ტექნიკურ პასპორტსა და ტექნიკურ ტალონში კომისიის თავმჯდომარე აკეთებს ჩანაწერს „ტექნიკური დათვალიერება გაიარა“, რაც მოწმდება ტექნიკურ პასპორტში მისი ხელის მოწერით, ხოლო

(დასასრული მე-4 გვერდზე).

№10 (6237) 23 იანვარი 1990 წ.

# მიმდინარეობს ავტოტრანსპორტის ტექნიკური დათვალიერება

(დასასრული).

ტალონში ხელის მოწერით და ორგანიზაციის ბეჭდით. ორგანიზაციის მიერ აღნიშნული საბუთების სახელმწიფო ავტოინსპექციაში წარდგენის შემთხვევაში ავტოინსპექცია იძლევა სპეციალურ ტალონს.

სამგზავრო ავტოტრანსპორტზე მეორედ ტექნიკური დათვალიერების ჩატარების აღნიშვნა ტარდება სახელმწიფო ავტოინსპექციის გაცემულ ტალონში ავტოინსპექციაში ორგანიზაციიდან წარმოდგენილი საბუთების შემდეგ. ტალონის დაკარგვის, ანდა მისი გადაკეთების შემთხვევაში წარმოება ახდენს ჩამსახურებრივ მოკვლევას დამნაშავის მიმართ, მოკვლეული მასალების და ავტოტრანსპორტზე ტექნიკური დათვალიერების შემდეგ ავტოინსპექცია იძლევა დაკარგული ტალონის შემცვლელს.

ავტოტრანსპორტს, რომლებიც წარმოდგენილი იყვნენ ტექნიკურ დათვალიერებაზე, მაგრამ არ იყვნენ ტექნიკურად გამართული, ეკრძალება ექსპლუატაცია და ტექნიკური ტალონი ამ ტრანსპორტს გადაეცემა სახელმწიფო ავტოინსპექციის ტექნიკური დათვალიერების შედეგებით შედგენილი საბუთებით.

ორგანიზაცია ვალდებულია ტექნიკური დათვალიერების დამთავრებიდან 10 დღის ვადაში თითოეულ ავტომანქანაზე ავტოინსპექციაში წარმოადგინონ სათანადო საბუთები.

საკუთარი ავტომანქანის მფლობელები მოტორის სიმძლავრის მიხედვით გადაიხდიან 50 კაპიკს თითოეულ ცხენის ძალისათვის, მოტოციკლეტებისა—30 კაპიკს. კოოპერატივები, საწარმოები, ცალკეული პირები, რომლებიც ფლობენ სატვირთო ავტომობილებს, თვითმავალ მანქანებს და პნევმატიკურსვლიან მექანიზმებს, იბეგრებიან 1 მანეთით ყოველ ცხენისძალაზე.

ტექნიკურ დათვალიერებას წელიწადში ერთხელ გაივლიან მსუბუქი, სატვირთო და სპეციალური ავტომანქანები, მოტოციკლეტები, თვლიანი ტრაქტორები, მისაბმელები და ნახევარ მისაბმელები, რომლებიც ერიცხება კოოპერატივებს, საწარმოებს და ცალკეულ პირებს. საშიში ტვირთის გადამტანი მანქანები და სამგზავრო ტრანსპორტი დათვალიერებაზე წელიწადში 2-ჯერ ტარდება. პირად საკუთრებაში მქონე მსუბუქი ავტომანქანები გატარდება 2 წელიწადში ერთხელ, ხოლო პირად საკუთრებაში მქონე მსუბუქი ავტომანქანები, რომლებსაც მფლობელები იყენებენ კოოპერატიულ და ინდივიდუალურ შრომით საქმიანობაში მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურებისათვის — წელიწადში ერთხელ.

გადასახადისაგან თავისუფლდებიან: დიდი სამამულო ომის ინვალიდები, ყოფილი პარტიზანები, ხელით სამართავი ავტომანქანის მქონე ინვალიდები, მხედრული მოვალეობის შესრულებისას დასახიჩრებული სამხედრო მოსამსახურეები, საბჭოთა კავშირის გმირები და სამივე ხარისხის დიდების ორდენის კავალრები, საქალაქო მომსახურე სამგზავრო ტრანსპორტის მფლობელები, მუხლუხა სვლიანი მანქანების და მექანიზმების მფლობელები.

გასულ წელს მოწყობილ სახელმწიფო ტექნიკურ დათვალიერებას ზოგიერთმა წარმოება-დაწესებულებამ და ინდივიდებმა თავი აარიდეს, ბევრი მათგანი უკვე გამოვავლინეთ და გავატარეთ კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ზომები. გასულ წელს დათვალიერებაზე არ გაატარეს ავტოტრანსპორტი: სასურსათო კომბინატმა, სარაიონთაშორისო ვეტლაბორატორიამ, კომუნალურ საწარმოთა კომბინატმა, ცაგერის სათაო პარკსაშრომ და უმრავლესმა კოლმეურნეობამ.

ავტოინსპექცია კვლავ გამოავლენს იმ პირებს, რომლებმაც თავი აარიდეს ტექნიკურ დათვალიერებას და გავატარებთ კანონით დადგენილ ზომებს.

ავტოსატრანსპორტო ტექნიკური დათვალიერების ძირითადი ამოცანაა სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის შეფასება, მათი რაოდენობის დადგენა, პროფილაქტიკა და ავტოტრანსპორტზე დანაშაულებრივ ხელმყოფთა წინააღმდეგ ბრძოლა. ამიტომ ყველამ ხელი უნდა შევუწყოთ მის ნორმალურად წარმართვას.

**რ. სალინაძე,**

შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსი სახელმწიფო ავტოინსპექტორი, მილიციის ლეიტენანტი.

ეს საინტერესოა

## მატებაც ამას ჰქვია

ბენდერი. (მოლდავეთის სსრ). ქალაქ ბენდერის სამშობიარო სახლში დაიბადა ოთხი ტყუპი—ვერა, ნადეჟდა, ლუბოვ და ნატალია. მეოთხე გოგონას მშობლებმა დაარქვეს ექიმის ნატალია ივენჩუკის სახელი, რომელმაც ამშობიარა დედა.

პატარები დაიბადნენ ძალზე უსუსურები და სუსტები. მშობიარობის შემდგომ მძიმე მდგომარეობაში იყო ახალშობილთა დედაც. მაგრამ ახლა ყველაზე მძიმე საათებმა ჩაიარა: დედა უკვე დგება ლოგინიდან. ბავშვები ძალ-ღონეს იკრებენ. ყველას მუდმივ კონტროლს უწევენ ექიმები, რომელთა პრაქტიკაში ასეთი შემთხვევა პირველია.

ახლა სუვოროვის რაიონის სოფელ სლობძებს მცხოვრებლების ვასილ და ლიდია დობინდეს ოჯახში უკვე რვა ბავშვია: შინ დედასა და დაიკოებს მოუთმენლად ელიან სამი ბიჭი და გოგონა.


გილოცავთ ახალდაქორწინებულებო!

ციცინო ბეგლარის ასულ ნემსწვერიძეს
სოზარ ვალოდიას ძე იმნაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. იხაროს თქვენმა ფესვმა და ნიშატმა, გემრავლებინოთ ქართული გენი.

ნუნუ და იური სილაგაძეები.


# გოდება ჩვილის

### სამაჩაბლოში აკვანში მოკლულ [illegible]

მე არ ვიცოდი სიყვარული ქვეყნად რა იყო,
არც ბოროტება არ ვიცოდი, რა იყო ქვეყნად,
ჩემი პატარა გულისცემა ტყვიამ წაიღო
და ფერიებმა გამაქანეს ზეცაში ღმერთთან.
ცრემლში იხრჩობა სისხლიანი ჩემი აკვანი,
ზეწარს აჩნია პაწაწინა ნატერფალები.
დგას მამაჩემი, მწუხარებით ნაავადარი,
რისხვით და სევდით დამუხტულა მისი თვალები.
ტირის აკვანი, დარდისაგან გამშრალა დედა,
ცრემლიც გამშრალა, მწუხარებამ ცრემლი წაიღო,
თურმე კაცისთვის ასი წელიც ცოტაა ქვეყნად,
ცხრა თვე და თუნდაც ერთი წელი რა უნდა იყოს.
აკვნის ცრემლებად გაიბნევა ჩემი გოდება,
აკვნის სახელურს ჩამოწყდება გიშრის მძივები,
წითელ მიხაკებს მისახსოვრებს ლურჯი ოცნება
და მეც უიღბლო ოცნებაში ჩავიძირები.
მე არ ვიცოდი, პატარებიც თუ ისჯებოდნენ,
მე არ ვიცოდი ქვეყანაზე მზეც თუ ქრებოდა.
არც ის ვიცოდი, საქართველო ჩემთვის რა იყო,
და არც ოსეთის მოთხოვნების გამეგებოდა,
ტირის აკვანი, იცრემლება ჩემი თოჯინა,
მწარე ტკივილად მზეურდება სულის ხმაური,
ალბათ ყოველთვის უპასუხო კითხვად დარჩება,
თუ ვის წინაშე მიმიძღოდა დანაშაული.

**ნანა აკობიძე,**

ისუნდრის არასრული საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე.

## სისხლიანი აკვანი

სისხლიანი აკვნიდან პაატას ორი გაფართოებული თვალი მოგვჩერებია. „რა დაგიშავეთო“, თუ გვეკითხება.

მხოლოდ იმისთვის, რომ ქართველი იყო, მხოლოდ ქართული სისხლისათვის.

უნებურად დიდი პაატას ცრემლები მახრჩობს, მონატრებული საქართველოს ცრემლები.

არ შეიძლება არ გაგახელოს. არა იმან, რომ მოგვიკლეს! არა, იმიტომ, რომ უგულობა გამოიჩინეს, თავისი თავი შეგვაზარეს, ვერ აგვატირეს და ცრემლები სულ მთლად დაგვიშვრეს, დაგვიშრიტეს...

ნეტა რა გულმა გაუძლო ამას.

ვერ შეგვაგინეს! საკუთარი თავი უფრო შეიგინეს...

რამდენი გულის გმინვა გვაქმიე, რამდენ სანთელ-საკმეველს აუბნიე გზა, რამდენი მზე დააბნელე, მაგრამ თითქოს ასეთი არაფერი მომხდარა...

გული დააჭკნო ცოდვამ დედისამ..

გული დააჭკნო ცოდვამ ერისა...

როგორ შევხედოთ ამ სისხლიან აკვანს, ღმერთო!

აღარც ცრემლებია ახლა ნუგეში, მხოლოდ თვალები, პაწაწინა ბიჭის მეოცნებე თვალები.

—გაზაფხულზე დიდი ბიჭი ვიქნებიო, ალბათ...

ერთხელ კიდევ ჩამოჰკრავს ზარი ქართულ მიწაზე.

საქართველოსთვის დაიბადე, ალბათ, ამ ძნელბედობის ჟამს, ძალიან დასჭირდებოდი ქართველ ერს...

—ამოდის მზე,

და ეს სისხლი მხრებზე აწევს,

—ცივია ცა, ცივია და ქართული ჰქვია... სისხლია და ქართული ჰქვია.. ცრემლია და ქართული ჰქვია...

—ოჰ! ღმერთო, ჩემო, მოთმინება საღამდე გვმართებს...

თეთრი ბედაური ფაფარაყრილი მორბის მინდორზე...

**მთვარისა ბენდელიანი.**

მამა ბესარიონი, მეუღლე მიმოზა წაქაძე, შვილი სოფიკო, და ზოლა, ძმები ავთანდილ, ტარიელ, ფრიდონ, სიძე ედუარდ ცირამოა, რძალი მარინე გორეზიანი, დისშვილი თინათინი, ძმისშვილები ბესიკი, თამუნა, სიდედრი ოლია ქორქოლიანი, ცოლისძმა ჩინგიზ, ცოლისდა იზო წაქაძეები, ქვისლი გულვერ მაკარიძე, ბიძა ნიკოლოზ ახვლედიანი, ბიცოლები მარიამ, კატუშა, ანიკო ახვლედიანები, შუშანა სვანიძე, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გურგენ ბესარიონის ძე სვანიძე.**

პანაშვიდი 23-24 იანვარს, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. №4. დაკრძალვა 28 იანვარს, ცაგერის რაიონის სოფ. ტვიშში.

შვილები ეთერ, დოდო, სიძეები ამბერკი სილაგაძე, ჯამბულ ონიანი, შვილიშვილები მამუკა, ხათუნა, მაია, გახო, ზაქრო, ლევანი, გიორგი, ძმები გრიგოლი, ვარდენი, და სარა, რძალი მელიტა ლობჟანიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**საშა გაბრიელის ასული ზურაბიანი-ბაბლუანი.**

დაკრძალვა 27 იანვარს, შაბათს, ლენტეხის რაიონის სოფ. თეკალში.

ლაჯანის სკოლა-ინტერნატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ოლია ჭოხონელიძეს დის

**ნინა ჭოხონელიძე-მესხაძის**

გარდაცვალების გამო.

გრიშა კოპალიანი ოჯახით თანაუგრძნობს ზაურ კოპალიანს ბიძის

**გრიშა თვარაძის**

გარდაცვალების გამო.

**რედაქტორის მოადგილე**
**მ. ძნელაძე.**

ლაილაშის საშუალო სკოლის მე-9, მე-10 კლასების მოსწავლეები, კლასის ხელმძღვანელები ნატო გოგოძე, ვალერი მუშკუდიანი თანაუგრძნობენ სერგო, ფატი ჩაჩხიანებს ბებიის

**პელო ხუბუკელაშვილი-ჩაჩხიანის**

გარდაცვალების გამო.

ტვიშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ზინა პავლეს ასული ნემსწვერიძე.**

ჯემალ, ოთარ დავითულიანები, ჯემალ ყურაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**არჩილ ომანაძე.**


ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3[illegible], განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-28,

გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 1 ინდექსი 66539, ტირაჟი 4441

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.